ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

შაბათი 14 აგვისტო № 86 (11572) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 5 კაპ.


## ეროვნულ უნივერსიტეტში—ქვებით და ბარიკადებით?..





## SOS!

არ გვინდა, მკაცრები ვიყოთ და განვიკითხოთ სხვათა საქციელი. არც ის გვინდა სასტიკ ქმედებას სასტიკი სიტყვებით ვუპასუხოთ, არადა თვითონ განსაჯეთ: ეროვნული უნივერსიტეტი მისაღები გამოცდების მერე ნაომარს და ნათარეშარს ჰგავს: ჩამსხვრეული მინებით, ქვებით სავსე აუდიტორიებით, ბარიკადებით... უნივერსიტეტის გარშემო კოცონთა კვალი, ნაგავი და ნამუსრალია, თითქოს მტერზე გამარჯვებული ადამიანები ისხდნენ ამ კოცონის გარშემო და ზეიმობდნენ...

9 აგვისტოს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები დამთავრდა... 10 აგვისტოს, დილით აბიტურიენტები, რომელთაც გამსვლელი ქულა ვერ დააგროვეს და მათი მშობლები გაიფიცნენ: „მოვითხოვთ ფასიან სწავლებას" და „ჩაგვრიცხეთ ყველა დადებითნიშნიანი აბიტურიენტი"... იყო ლოზუნგები...

გაფიცულები უკვე ისხდნენ, როცა 10 აგვისტოს 12 საათზე მიმღები კომისიის სხდომა დაიწყო, სადაც გადაწყდა, რომ ნაწილობრივ გამსვლელ ქულიანებს, 17 ქულიანებს, 18 ქულიანებს ჩარიცხავდნენ... სხდომა რომ დამთავრეს, კარები ჩაკეტილი დახვდათ, მოპიკეტეებმა ცოცხალი დერეფანი გააკეთეს და „დააპატიმრეს" კომისიის წევრები. ღამის 1 საათზე მოვიდა მილიცია, მაგრამ ვერც იმათ შესძლეს ალყის გარღვევა... მიმასე და ამგვარად, ორი დღე-ღამის განმავლობაში მიმღები კომისია გარეთ ცხვირსაც ვერ ჰყოფდა, საჭმელის მოსატანად მოსულ მათი ოჯახის წევრებს მოალყეები ყიჟინითა და ქვების სროლით ხვდებოდნენ. (თვითონ კი ისხდნენ კოცონის გარშემო, კიდეც იქვებობდნენ და არც ცუდ ხასიათზე იყვნენ...) ერთ-ერთმა ექთანმა მოახერხა ფანჯრიდან გადაძრომა და გაპარვა. მაგრამ დაეწივნენ, ავტობუსიდან ჩამოსვეს და ისევ იმ ფანჯრიდან დააბრუნეს ალყაშემორტყმულ აუდიტორიაში.

გაფიცულ აბიტურიენტთა და მათ მშობელთა დელეგაციები თითქმის საათში ერთხელ ხვდებოდნენ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, რექტორმა მათ სამუშაო კომიტეტის შექმნა და ამ რთული მდგომარეობიდან საერთო ძალისხმევით გამოსავლის მოძებნა შესთავაზა, ფასიან სწავლებაზე გადასვლასაც შეპირდა, მაგრამ ახლა გაფიცულები ყველა დადებითნიშნიანის ჩარიცხვას ითხოვდნენ (შარშან თუ ყველა დადებითნიშნიანი ჩარიცხეთ, წელს რატომ არ რიცხავთო... როგორ უნდა ვთქვათ, მაგრამ ფაქტია, რომ შარშანდელი ტრაგიკული მოვლენებით გამოწვეული შეღავათები სანანებელი გახდა). წელს უნივერსიტეტში გეგმით 2600 კაცის მიღება იყო გათვალისწინებული, 500 ადგილი დაამატეს აქედან 130-ზე მეტი იურიდიულ ფაკულტეტზე მოდის, მაგრამ გაფიცულთა უმრავლესობა სწორედ იურიდიული ფაკულტეტის აბიტურიენტები არიან.

### ახლა კი იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა გარეთ...

გაფიცული აბიტურიენტები და მათი მშობლები უნივერსიტეტის კიბეზე ისხდნენ... სამართალს ელოდნენ... ერთმა კაცმა (მშობელმა) სახელდახელო მიტინგი გამართა. მას სურდა (თვითონ ასე ამბობდა: „მე მინდა"...) რომ 15 აგვისტოს გაფიცულებმა გადაინაცვლონ უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან, ლოზუნგებითა და ტრანსპარანტებით. იგი (ეს მშობელი) გააფრთხილებს ავტოინსპექციას, მოძრაობა გადაიკეტება და მსვლელობას ხელს არავინ შეუშლის...

●

აქციის მონაწილენი თაკარა მზეს არ ერიდებიან. ელიან და ელიან გადაწყვეტილებას, ოღონდ ვინ უნდა მიიღოს ეს გადაწყვეტილება? — უნივერსიტეტმა, განათლების სამინისტრომ, მთავრობამ? ოღონდ როდემდე შეიძლება ასე ქვებით და მუშტით, „ნახავთ თუ მაინც არ ჩავირიცხებით" — განწყობილებით უმაღლეს სასწავლებელში შესვლა?! შარშან 2000 ახალგაზრდა უნდა გამხდარიყო უნივერსიტეტის სტუდენტი, 1500-მდე ადგილი დაამატეს, ამას დაემატა 1700 მოსამზადებელი განყოფილებიდან და მოხდა ის, რომ ფიზიკურად აუდიტორიის უქონლობის გამო ლექციებზე თავისუფალი დასწრება გამოაცხადეს... დანარჩენი თავად განსაჯეთ...

მოკლედ, თავგზა აგებნევა ადამიანს, ვის მიაწყდე, ვის ჰკითხო, ვინ არის შემწე?!

გაფიცულთაგან ერთი და იგივე პასუხი მივიღეთ:

— შარშან თუ ყველა ჩარიცხეს, წელს რა დავაშავეთ?!

— თვრამეტი ქულა თუ გადის, ჩვიდმეტმა რა დააშავა?!.

ვინ რამდენად არის დამნაშავე, ამას დრო იტყვის, ჩვენ კი ისტორიას რომ გადავხედოთ, გნახავთ — ქვების სროლითა და მუშტი-კრივით საქართველოს უპირველეს ეროვნულ უნივერსიტეტში არავინ ჩარიცხულა...

**მაია ჭალაგანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეხმაურებით საარჩევნო კანონპროექტებს

# გვჭირდება სწორი არჩევანი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე პირველად მოხდა, რომ საარჩევნო კანონპროექტის ჯერ შედგენამ, ხოლო შემდეგ გამოქვეყნებამ ამდენი ვნებათაღელვა გამოიწვია. რამდენი არჩევნები ჩატარებულა ჩვენში, მაგრამ საარჩევნო კანონს იშვიათად თუ წაიკითხავდა ვინმე. ახლა მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა, საზოგადოება ინტერესით ეცნობა გაზეთ „კომუნისტის" 1 აგვისტოს ნომერს, მით უფრო, რომ სახეზე გვაქვს არა ერთი, არამედ ალტერნატიული კანონპროექტებიც. (გამოქვეყნების თანმიმდევრობის მიხედვით პირობითად ვუწოდოთ მათ „ა", „ბ" და „გ" ვარიანტები). როგორც გაზეთის შენიშვნიდან ჩანს, ერთ-ერთი კანონპროექტის („ბ" ვარიანტის) შემუშავებაში მონაწილეობდნენ: მრგვალ მაგიდაში გაერთიანებული ორგანიზაციები, „დასი", ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია, რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია, მწვანეთა პარტია და სახალხო ფრონტი. დანარჩენ ორ პროექტს ამგვარი მინაწერი არა აქვს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ისინი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სათანადო კომისიებმა წარმოადგინეს. უმჯობესი კი იყო ვიცოდეთ სამივე კანონპროექტის ავტორთა ვინაობა.

მაინც რით განსხვავდებიან ეს პროექტები ერთმანეთისაგან? შევეხები რამდენიმე არსებით საკითხს.

დეპუტატთა რაოდენობის შესახებ: უზენაესი საბჭოს შემადგენლობაში ასარჩევად დასახელებულია დეპუტატთა ორი განსხვავებული რიცხვი 301 და 201. ჩემის აზრით, უფრო ოპტიმალური იქნება 201. ჩვენ არ გვჭირდება ერთ სულ მოსახლეზე დეპუტატთა რაოდენობით მოწინავენი ვიყოთ მსოფლიოში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებაში სულ 130 დეპუტატი იყო. შემდგომში დეპუტატთა რიცხვის ხელოვნურად გაზრდას არაფერი სარგებლობა მოუტანია. „საყოველთაო ტაშისკვრის" წლებში რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში სამასი და მეტი დეპუტატის ყოლა იმითაც იყო „გამართლებული", რომ ამდენი დეპუტატის ერთსულოვანი ტაში (როგორც ხდებოდა ხოლმე) უფრო მქუხარე და ოვაციური იქნებოდა. ახლა, როცა ყველაფრის მოწონების ტაშისკვრა წარსულს ჩაბარდა და პარლამენტს მნიშვნელოვანი ფუნქცია დაეკისრა (კანონპროექტების მომზადება, განხილვა, მიღება და ა. შ.), დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ საქმეს უფრო მცირე და სრულფასოვანი საკრებულო უკეთ გააკეთებს, ვიდრე მრავალრიცხოვანი. ამასთან, თუ ქვეყნის ბიუჯეტში (ჩვენი სახელმწიფო ხომ გეგმიანია) წინასწარაა განსაზღვრული 301 დეპუტატის შენახვის ხარჯები, რაოდენობით უფრო ნაკლები უზენაესი საბჭოს არჩევის შემთხვევაში. დაზოგილი თანხა ქველმოქმედების კეთილშობილურ საქმეს მოხმარდება და ამ მხრივაც მოგებულნი დავრჩებით.

საარჩევნო კანონპროექტის „ბ" ვარიანტში დანარჩენთაგან განსხვავებით გვხვდება ასეთი დებულება: „ის პირნი, რომლებიც მსახურობენ ისეთ სამხედრო ან გასამხედროებულ შენაერთებში, რომლებიც არ ექვემდებარებიან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების იურისდიქციას, არ მონაწილეობენ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში". სწორი და სამართლიანი დებულებაა. საქართველოს უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოა. მისი მოწოდებაა შეიმუშაოს და მიიღოს ისეთი კანონები და გადაწყვეტილებანი, რომლებიც ქართველი ერის და საქართველოში მუდმივად მცხოვრები სხვა ხალხების ინტერესებს შეესაბამება. ამგვარი საკრებულო სწორედ რესპუბლიკის მუდმივმა მცხოვრებლებმა (პერსპექტივაში საქართველოს მომავალმა მოქალაქეებმა) უნდა აირჩიონ. რაც შეეხება სამხედროებს: არსებული რეალობის გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ, სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადა ორი წელია, რომლის გასვლის შემდეგ (თუ მანამდე არა) რიგითი ჯარისკაცი ტოვებს საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებულ სამხედრო ნაწილს და შინ მიემგზავრება, ასე რომ, მას დიდად არც აინტერესებს როგორ პარლამენტს ავირჩევთ რესპუბლიკაში, რომლის უფლებამოსილების ვადა 5 წელია.

არც არმიის მეთაურთა შემადგენლობაა სტაბილური. სამსახურის სპეციფიკურობის გამო ისინი ხან ერთ და ხან მეორე სამხედრო ოლქში გადაჰყავთ, რის გამოც ვერც ისინი და ვერც მათი ოჯახის წევრები (სამსახურის ადგილის ყოველი გამოცვლისას თან რომ დაჰყავთ), საქართველოს მუდმივ მცხოვრებლებად ვერ ჩაითვლებიან. ამას გარდა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ რესპუბლიკის ფარგლებში განლაგებული სამხედრო შენაერთები 1921 წელს საქართველოში შემოჭრილი საოკუპაციო წითელი არმიის მემკვიდრეა და მათ, საქართველოს ჭეშმარიტ ინტერესებთან საერთო არა აქვთ რა.

თუ მავანი ამგვარ შეზღუდვაში სამხედრო მოსამსახურეთა მოქალაქეობრივი (პოლიტიკური) უფლებების შელახვას დაინახავს, მის დასამშვიდებლად ვიტყვი: ყოველი პიროვნება თავის პოლიტიკურ უფლებებს საკუთარ სახელმწიფოში უნდა ახორციელებდეს.

კანონპროექტებში სამი განსხვავებული თვალსაზრისია წარმოდგენილ საკითხზე, რომელიც მოქალაქეთა საყოველთაო საარჩევნო უფლებას შეეხება:

„ა" ვარიანტი: „საქართველოს სსრ მოქალაქე არ შეიძლება იყოს ორზე მეტი საბჭოს წევრი".

„ბ" ვარიანტი: საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლების სხვა არჩევითი ორგანოს წევრი".

„გ" ვარიანტი „ბ"-საგან განსხვავებით გამონაკლისს უშვებს მხოლოდ საქართველოს, აჭარისა და აფხაზეთის უზენაესი საბჭოების თავმჯდომარეებისათვის.

სამივე თვალსაზრისს ჰათანადო არგუმენტაცია მოეძებნება, მაგრამ რადგან მათგან მხოლოდ ერთი შეიძლება დარჩეს. მე მხარს დავუჭერდი „ა" ვარიანტს. რატომ? მოგახსენებთ.

აქა იქ გაისმის ხმები, რომ ჩვენმა დეპუტატებმა დატოვონ საკავშირო პარლამენტი. საკითხის ამგვარი დასმა, ვფიქრობ, ჯერ-ჯერობით ნაადრევია. მართალია, ჩვენი დეპუტაცია, რიცხობრივი უმცირესობის გამო, კრემლში გამართულ სესიებსა და ყრილობებზე ამინდს ვერ ქმნის, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ სხვა გარემოებაც: კრემლის ტრიბუნას ყურს უგდებენ არა მარტო სსრ კავშირში, არამედ დასავლეთშიც, და სად თუ არა იქ, უნდა ითქვას სიმართლე და გაეცეს საკადრისი პასუხი იმ უამრავ ბეზღობას და ცილისწამებას საქართველოს რომ ატეხენ თავს მისი ავისმოსურნენი? ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ჩვენს საკავშირო დეპუტატებს დაუგროვდათ გარკვეული საპარლამენტო გამოცდილება, ამიტომ მათი მონაწილეობა (ცხადია, არა ყველასი) საქართველოს უზენაეს საბჭოში სასარგებლო იქნება.

აქვე ერთ შეხედულებასაც შეგახსენებთ, რომელიც აშშ-ს ყოფილ პრეზიდენტს რ. რეიგანს ეკუთვნის. საბჭოთა ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში რ. რეიგანმა განაცხადა: „პრეზიდენტობის ორი ვადის დაწესება პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვა კი არ არის, არამედ ხალხის. — ამომრჩევლის, რომელსაც შესაძლებლობა ერთმევა მოცემულ თანამდებობაზე კიდევ ერთხელ დაასახელოს სასურველი კანდიდატურა".

პროექტის „ბ" ვარიანტში აღნიშნულია: „პარტიებმა პატივი უნდა სცენ საქართველოს ეროვნული და სახელმწიფო სუვერენიტეტის, დემოკრატიის პრინციპებს, ეროვნული თანხმობის იდეას". (დანარჩენ ორ ვარიანტში მსგავსი დებულება არ გვხვდება). ეს სამართლებრივი და დემოკრატიული ქვეყნისათვის მისაღები მართლზომიერი მოთხოვნაა. ჩვენ კი ამ გზას მხოლოდ ახლა დავადექით, ჯერ არც სამართლებრივი სახელმწიფო გვაქვს და არც მთლად დემოკრატიული. ამიტომ წინადადება „პარტიებმა პატივი უნდა სცენ", უმჯობესია შეიცვალოს ასე: „პარტიებმა უნდა დაიცვან" (შემდეგ როგორც ტექსტშია).

კანონპროექტის „ბ" და „გ" ვარიანტებში, განსხვავებით „ა" ვარიანტისაგან, იქ სადაც ჩამოთვლილია საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსისათვის შეუთავსებელი თანამდებობები, სხვებთან ერთად მითითებულია: „მართლმსაჯულების ორგანოებში არჩეული პირები, საქართველოს, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის მთავარი სახელმწიფო არბიტრები, საქართველოს პროკურორი და მისი ქვემდგომი პროკურორები". ეს გამართლებული შეზღუდვაა, რადგან სახელმწიფო ხელისუფლება უნდა გაიმიჯნოს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სამოსამართლეოდ. ამის აუცილებლობაზე, მონტესკიეზე რომ არაფერი ვთქვათ, ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ავტორები წერდნენ. დემოკრატიულ ქვეყნებში სახელმწიფო ხელისუფლება დიდი ხანია დანაწევრებულია.

საარჩევნო კანონპროექტები სხვა განსხვავებულ თვალსაზრისებსაც შეიცავს, მაგრამ ერთი საგაზეთო პუბლიკაცია ცხადია. ყველა მათგანს ვერ გაწვდება.

დასასრულს, ერთი პრაქტიკული წინადადებაც: სასურველია 17 აგვისტოს სესიაზე მოეწყოს სახელობითი კენჭისყრა. ამით გაირკვევა თითოეული დეპუტატის პიროვნული დამოკიდებულება ჩვენი სამომავლო გზისადმი. კარგა ხანია მიტინგებზე გაისმის მოთხოვნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს გადადგომის შესახებ. საარჩევნო კანონპროექტების განხილვა და მათ დასამტკიცებლად სახელობითი კენჭისყრის შედეგები დაგვარწმუნებს, რამდენად სამართლიანია ეს მოთხოვნები.

გამოვთქვამ იმედს, რომ უზენაესი საბჭო მხარს დაუჭერს და მიიღებს იმგვარ კანონს, რომელიც გზას გაუხსნის დემოკრატიულ განვითარებას და ნიადაგს მოუმზადებს საქართველოს დამოუკიდებლობას.

**ოთარ ჯანელიძე**

# დემოკრატიის გზით...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სხდომათა დარბაზში მოეწყო ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისა, გამომცემლობისა და სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, სადაც განიხილეს პრესაში გამოქვეყნებული კანონპროექტები რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოში არჩევნების შესახებ.

კამათში მონაწილეობდნენ გამომცემლობის დირექტორი ვახტანგ ესვანჯია, ჟურნალისტთა კავშირის მდივნები ზაურ გომართელი და აკაკი სიხარულიძე, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული საკონსულტაციო კომისიაში შემავალი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, მრგვალი მაგიდიდან ავთანდილ რცხილაძე, უზენაესი საბჭოს იურიდიული განყოფილების თანამშრომელი ლია ცინდელიანი, „დასის" (დემოკრატიული არჩევანი საქართველოსათვის) — მიხეილ ბაჟუნაიშვილი, რესპუბლიკის ფედერალური პარტიის წევრი ვახტანგ ტატუნაშვილი, მწერალი ირინე ტალიაშვილი, ჟურნალისტი ემზარ გოგუაძე და სხვები.

შეკრებილებმა ისაუბრეს კანონპროექტის სხვადასხვა მუხლებსა და მნიშვნელოვან დეტალებზე.

უმეტესობამ უპირატესობა მე-2 კანონპროექტს მიანიჭა, რადგან, მათი აზრით, იგი უფრო დემოკრატიულია და იძლევა შესაძლებლობას, აირჩეს ნამდვილად ეროვნული პარლამენტი.

ცხარე კამათის შემდეგ ჟურნალისტთა კავშირმა, გამომცემლობისა და სტამბის მუშა-მოსამსახურეებმა მხარი დაუჭირეს მე-2 კანონპროექტის მიღებას, გადაწყვიტეს, შეიმუშაონ ერთობლივი მიმართვა უზენაესი საბჭოსადმი.

**იზა ჯაჭვაძე**

**წარმოდგენილი** კანონპროექტიდან მხოლოდ მეორე ასახავს საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიის 20 ივლისის დადგენილებას არჩევნების მაჟორიტალური და პროპორციული სისტემით ჩატარების შესახებ: ამ წერილში მოყვანილი მოსაზრებები ეხება კანონპროექტების მხოლოდ ამ ვარიანტს.

დღევანდელი რთული, გარდამავალი პერიოდის გათვალისწინებით, რომელშიც უზენაეს საბჭოს მოუხდება მოღვაწეობა, მიზანშეწონილია აირჩეს 301 დეპუტატი, რომელთაგანაც 151 აირჩევა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში, ხოლო 150 პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე.

მე-9 მუხლში მოყვანილია მთელი რიგი სამეურნეო დარგის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობისა და მათი მოადგილეების უფლების შეზღუდვა უზენაეს საბჭოს წევრობაში, რასაც ვერ დავეთანხმებით. ასევე საყოველთაო საარჩევნო უფლება არ უნდა ზღუდავდეს კანდიდატს წლოვანების ქვედა ბარიერით — 23 წლით (მუხლი 2).

# რამდენიმე შენიშვნა

ზოგ შემთხვევაში კანდიდატთა წარდგენისა და რეგისტრაციის ვადები არ შეესაბამება არსებულ მდგომარეობას (კანონის დამტკიცების — 17.08 და არჩევნების ჩატარების — 28.10 სავარაუდო თარიღებს), როგორც მაგალითად 38-ე მუხლში კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები კანონის დამტკიცებიდან 45 დღიდან, არჩევნების ჩატარებამდე 35 დღე, ერთმანეთს ფარავს.

მოცემული დროის მცირე მონაკვეთში არჩევნების ჩატარების შემთხვევაში გასათვალისწინებელია პარტიებისათვის მხარდამჭერთა სიების წარდგენის შეზღუდული ვადები და მისი კანონპროექტთან შეუსაბამობა, რის გამოც მხარდამჭერთა სიების წარმოდგენა პარტიის რეგისტრაციისათვის ამ ეტაპზე მიზანშეუწონლად მიმაჩნია.

კანდიდატის წამოყენებისათვის და მისი რეგისტრაციისათვის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში, პარტიისა და დამოუკიდებელ კანდიდატებს თანაბარი ვადები უნდა განესაზღვროს (მუხლი 38, 39, 40), რასაც არ ითვალისწინებს კანონპროექტი. ვთქვათ რეგისტრაციის საბოლოო ვადა არჩევნებამდე 30 დღეა, ხოლო ერთიანი დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ უნდა მიეცეს დამოუკიდებელ კანდიდატს დრო მუხლი 39-ით გათვალისწინებული შესაძლო უზუსტობების შესასწორებლად.

გაუგებარია (მუხლი 49), საარჩევნო კომისიის მიერ წინასაარჩევნო სააგიტაციო ბეჭდვით პროპაგანდაზე შეზღუდვების შესახებ. როდესაც მე-10 მუხლში განსაზღვრულია საარჩევნო ფონდის ოდენობის ზღვარის დადგენა და მოცემულ ფარგლებში მისი გამოყენების უფლება ყველა კანდიდატსა თუ პარტიას თავისი შეხედულებით უნდა შეეძლოს.

ისეთ ფუნდამენტურ თავში, რომელიც ეხება ხმის მიცემის წესისა და არჩევნების შედეგების დადგენას, მეტ დაზუსტებას მოითხოვს 55-ე, 56-ე, 57-ე და 58-ე მუხლები. ისეთი ზოგადი ფორმულირებები, როგორიცაა მაგალითად საარჩევნო კომისიას „შეუძლია საჭიროების შემთხვევაში", უნდა დაკონკრეტდეს 55-ე მუხლის მეათე აბზაცი და 57-ე მუხლის მესამე აბზაცი. ასევე 58-ე მუხლში არჩევნების მეორე ტურის ჩატარების შემთხვევაში გაურკვეველია მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პარტიისა თუ ბლოკის საარჩევნო სიიდან კანდიდატის შეცვლის უფლება.

წარმოდგენილი კანონპროექტის მეორე ვარიანტის ამ შენიშვნების გათვალისწინებით დამტკიცება, საშუალებას მისცემს საქართველოს მოსახლეობას ბოლო 70 წლის ისტორიაში პირველად ჩაატაროს ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები და შექმნას ღირსეული პარლამენტი.

**დავით ზოდელავა**

# ლიტველები ამბობენ „გმადლობთ"





**ბოლნისის** მახლობლად, თვალწარმტაც ადგილზეა განლაგებული მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა საქართველოს რესპუბლიკური პროფკავშირის ფოლადაურის დასასვენებელი სახლი.

ამ ზაფხულს აქ ნორჩ თბილისელებთან ერთად საქართველოს მშვიდობის ფონდის მოწვევით ისვენებს მოძმე ლიტვის ბავშვები. ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებენ ვილნიუსელ, კაუნასელ, ტელმეტელ და ლიტვის სხვა ქალაქებიდან ჩამოსულ მოსწავლეებს.

**სურათებზე:** დამეგობრდნენ ქართველი და ლიტველი ბავშვები; ვემზადებით კარნავალისათვის.

**იოსებ დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)**

## თვალსაზრისი

# რა არის შრომითი (ალტერნატიული) სამსახური

**როგორც ცნობილია, ამა წლის 20 ივნისს საქართველოს უზენაესი საბჭოს XI მოწვევის რიგგარეშე XV სესიამ მიიღო კანონი შრომითი (ალტერნატიული) სამსახურის შესახებ. აღნიშნულმა კანონმა თავისი სიახლისა და აქტუალურობის გამო საზოგადოებაში ერთგვარი აჟიოტაჟი გამოიწვია. გამოითქვა სხვადასხვა, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებანი ამ ინსტიტუტის საჭიროების, მისი მექანიზმისა და ცხოვრებაში რეალურად განხორციელების შესახებ. დღეს მკითხველთა სამსჯავროზე გამოგვაქვს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის იმ სტუდენტთა მოსაზრებანი, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს აღნიშნული კანონის პროექტის შემუშავებაში.**

საქართველოში შრომითი (ალტერნატიული) სამსახურის შექმნის საკითხი აქტუალურად დაისვა ჯერ კიდევ 1989 წლის ნოემბერში. შემდგომში ჩვენში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ამ სამსახურის შექმნის აუცილებლობა: გახშირდა ქართველი სამხედროების მკვლელობები სსრკ შეიარაღებულ ძალებში, რასაც თავისთავად მოჰყვა ჩვენი წვევამდელების მასობრივი უარის თქმა სავალდებულო სამხედრო სამსახურზე. მართალია, ეს იყო ქართველი ახალგაზრდების ზნეობრივად ყოვლად გამართლებული, მაგრამ იურიდიულ საფუძველს მოკლებული უარი, რაც მათ სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის ქვეშ აქცევდა. მაშასადამე, საჭირო იყო ჩვენი წვევამდელების სამართლებრივ-პოლიტიკური დაცვა, მათ უარის თქმის ლეგიტიმაცია. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადაიდგა ამა წლის 9 მარტს, როდესაც საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო ისტორიული დადგენილება, რომლითაც 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და ტერიტორიის დაკავება, სამართლებრივ თვალსაზრისით, განიხილა როგორც ინტერვენციად და ოკუპაციად არსებული პოლიტიკური წყობილების დამხობის მიზნით, ხოლო, პოლიტიკური თვალსაზრისით — ფაქტობრივ ანექსიად. ამრიგად, მომზადდა ქართველი ახალგაზრდების გადარჩენის ზნეობრივ-პოლიტიკური საფუძველი. თუმცა მათი ხსნის უკეთესი გარანტია შეიძლება გამხდარიყო საქართველოს საჯარისო ფორმირებების (ან არმიის) შექმნა, მაგრამ ამის რეალურად განხორციელებას უახლოეს მომავლისათვის სასიკეთო პირი არ უჩანდა — ცენტრის ძალზედ დიდი წინააღმდეგობის გამო. ამიტომ საჭირო გახდა ისეთი სამართლებრივი ზღუდეების აღმართვა, რაც უდაოს გახდიდა წვევამდელთა უარს, ემსახურათ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში.

ასეთ სამართლებრივ ზღუდედ შეიძლება ქცეულიყო სწორედ კანონი შრომითი (ალტერნატიული) სამსახურის შესახებ, ამ კანონის მიხედვით შეტანილი ცვლილება-დამატებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და შრომითი სამსახურის რეალურად ამოქმედება. აღნიშნული კანონის მიღებამ საქართველოს სსრ მოქალაქეებს მისცა უფლება პოლიტიკური, რელიგიურ-ეთიკური ან პაციფისტური მოტივით უარი თქვან შეიარაღებულ ძალებში სამსახურზე (მე-3 მუხლი). ამრიგად, ქართველი წვევამდელების სამხედრო სამსახურზე უარის თქმა დაკანონდა! სამხედრო სამსახურზე უარის თქმას აღნიშნულ მოტივებით აღიარებს საერთაშორისო სამართალიც. ეს არის ერთ-ერთი დემოკრატიული პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების რწმენისა და შეხედულებების თავისუფლებას.

გარდა პოლიტიკური და სამართლებრივი მნიშვნელობისა აღნიშნულ კანონს გააჩნია დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობაც. შრომითი სამსახურის ძირითადი რგოლია შრომითი სამსახურში გაწვეული მოქალაქეების მიერ საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საჭირო სამუშაოებით შესრულება (მე-2 მუხლი), კერძოდ, კატასტროფებისა და სხვა სტიქიური თუ ეკოლოგიური უბედურებების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები, საქართველოს ისტორიული და კულტურული ძეგლების აღდგენა-რესტავრაცია, ეკოლოგიური და სხვა სახის სამუშაოები, რომლებითაც გარკვეულწილად შეიძლება ვუმკურნალოთ საქართველოს დაავადებულ ორგანიზმს.

საზოგადოების გარკვეულ ნაწილში არის მოსაზრება, თითქოს შრომითი (ალტერნატიული) სამსახური კიდევ უფრო გააუქნარებს და გაახარმაცებს ქართველ ახალგაზრდებს, რადგანაც საუბარია ცნებაზე კიდევ უფრო, ესე იგი ამ აზრის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ შრომითი (ალტერნატიული) სამსახური ახლანდელ მდგომარეობასთან შედარებით მეტად გაახარმაცებს ახალგაზრდებს. მოდით, ერთი წამით წარმოვიდგინოთ, რა დღევანდელ მდგომარეობაზე უნდა ვისაუბროთ და რას გვიქადის რეალობა ხვალ შრომითი სამსახურის შექმნის გარეშე. მოგეხსენებათ, რომ გაზარმაცებულ ახალგაზრდათა რიცხვი საკმაოდ დიდია. ამით მიემატნენ უკვე ძირითადად ისინიც, ვინც უარი თქვა საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში სამსახურზე. ასე, რომ ასეთ გაუქნარებულ ახალგაზრდათა პოტენციური ოდენობა უკვე საკმაოდ დიდია. ახლა წარმოვიდგინოთ, რა სიტუაცია შეიქმნება შემოდგომაზე მორიგი გაწვევის დროს და მის შემდგომ, თუ არ იქნება შექმნილი შრომითი (ალტერნატიული) სამსახური. ლოგიკა და რეალური ვითარების შესწავლა გვკარნახობს, რომ ასეთ ახალგაზრდათა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება და, ალბათ, თითქმის ყველა ბოიკოტს გამოუცხადებს საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში სამსახურს; თანაც ვიმეორებთ, თითქმის ყველა. აი, ის ვითარება, რომელიც ჩვენ გველის იმ შემთხვევაში, თუ არ შეიქმნება შრომითი (ალტერნატიული) სამსახური. ახლა, ვიკითხოთ: „გაზარმაცებულნი“ და „გაუქნარებულნი“ არ არიან პოტენციურად ჩვენი ახალგაზრდები შრომითი სამსახურის გარეშეც. რასაკვირველია, არიან. მაშ რატომ ვაბრალებთ შრომით (ალტერნატიულ) სამსახურს თითქოს იგი ამ საკითხში ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანს, მაშინ, როცა მეტი უარესი მდგომარეობა უკვე თითქმის წარმოუდგენელია. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ეს სამსახური პირიქით უსაქმურობისაგან გამოიხსნის ქართველ ახალგაზრდათა ნაწილს მაინც და ჭეშმარიტად მამულიშვილურ შრომაში ჩააბამს მათ. ე. ი. კი არ გააზარმაცებს, უფრო მეტად, არამედ შესაძლებლობისდა მიხედვით მალამოდ დაედება ამ სენს, და თუ უარის მთქმელ ახალგაზრდათა 10 ან თუნდაც 5 პროცენტი მაინც მონახავს საქმეს და თანაც საზოგადოებისათვის, საჭიროს, ან განსაკუთრებით საჭიროს მაშინ ჩვენ უნდა ჩავთვალოთ, რომ შრომითმა სამსახურმა ამაშიც თავისი მოვალეობა შეასრულა.

ჩვენ ასევე ვერ დავეთანხმებით იმ მოსაზრებასაც, თითქოს შრომითი (ალტერნატიული) სამსახური მიმართულია იქითკენ, რომ ქართველი ახალგაზრდები გახადოს ინერტულნი ეროვნული არმიის შექმნის მიმართ. ეს არის არაკომპეტენტური მსჯელობა. შრომითი სამსახური არავითარ შემთხვევაში ხელს არ შეუშლის ეროვნული არმიის შექმნას, ერთი არ გამორიცხავს მეორეს. ეროვნული არმიის შექმნა ახლა, როგორც მოგეხსენებათ, მრავალ სირთულეს აწყდება, და რადგანაც დაუყოვნებლივაა საჭირო ახალგაზრდათა ხსნა, და რაიმე მამულიშვილურ საქმეში ჩაბმა, ახლავეა მიზანშეწონილი შრომითი სამსახურის შექმნა. რასაკვირველია, პარალელურად მუშაობა უნდა მიდიოდეს ეროვნული არმიის შექმნის ნორმატიული და პრაქტიკული მომზადება-განხორციელებისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როცა ეროვნული არმია შეიქმნება, შრომითი (ალტერნატიული) სამსახური მაინც განაგრძობს არსებობას. ამ დროისათვის კანონიდან ამოვარდება პოლიტიკური მოტივი და დარჩება მხოლოდ რელიგიურ-ეთიკური და პაციფისტური. ამგვარად, ეს სამსახური გახდება მხოლოდ პიროვნების რწმენის, ეთიკის ან პაციფისტური შეხედულებების დაცვის ინსტიტუტად, ყოველივე ეს აუცილებელი პირობაა სამართლებრივი, დემოკრატიული საქართველოსათვის რამეთუ ყველა იმ სამართლებრივ ქვეყანაში, სადაც სავალდებულო სამხედრო სამსახურია დადგენილი, მის პარალელურად აუცილებლად უნდა მოქმედებდეს შრომითი (ალტერნატიული) სამსახურის დემოკრატიული ინსტიტუტი. ეს არის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი და მას იცავენ ისეთი ქვეყნები, როგორებიც არიან: გერმანია, საფრანგეთი, დანია, იტალია და ასე შემდეგ.

ვიდრე გადავიდოდით კანონის ზოგად განმარტებაზე, საჭიროდ ჩავთვალეთ უარვყოთ საზოგადოებაში გაჩენილი კიდევ ერთი ეჭვი, თითქოს აღნიშნული კანონი გარკვეული მიზნით მოამზადა და „მოსახლეობას თავს მოახვია“ საქართველოს ხელისუფლებამ. ეს არის ყოვლად უსაფუძვლო ეჭვი. კანონის შექმნის კონტურები მოიხაზა ჯერ კიდევ 1989 წლის ნოემბერში, როდესაც სერიოზულად დადგა სამხედრო სამსახურზე უარის მთქმელ წვევამდელთა სასჯელისგან დახსნის საკითხი. სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების აქციებში თანდათანობით ყალიბდებოდა მოთხოვნების ალტერნატიული სამსახურის შემოღების თაობაზე. ამ კანონის პროექტის მომზადების ერთ-ერთი ინიციატორი იყო ორგანიზაცია „დასი“.

1990 წლის გაზაფხულის მოვლენებმა (წვევანდელთა უარის თქმა გაზაფხულის გაწვევაზე, 9 მარტის სესია, გახშირებული მკვლელობები სამხედრო ნაწილებში) კიდევ უფრო დააჩქარა კანონის შემოღების საჭიროება. ლატვიამ და ესტონეთმა პირველებმა მიიღეს საბჭოთა კავშირში კანონი შრომითი (ალტერნატიული) სამსახურის შესახებ. რაც შეეხება კანონის პროექტის შედგენას, მასში დიდი დახმარება გაგვიწიეს ისევ „დასი“-სა და სახალხო ფრონტის წარმომადგენლებმა, ხოლო კანონის პირველადი პროექტი უშუალოდ თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მომზადდა. ახლა კი საჭიროა შეძლებისდაგვარად წარმოვიდგინოთ კანონის ზოგიერთი დებულება, ავხსნათ შრომითი (ალტერნატიული) სამსახურის არსი, მისი გავლის პირობები და სხვა.

კანონის პირველსავე მუხლში განმარტებულია, რომ შრომითი სამსახური არის სამხედრო სამსახურის ალტერნატივა. ის, ვინც უარს განაცხადებს სამხედრო სამსახურზე გარკვეული მოტივებით, მოვალეა შრომითი სამსახური გაიაროს საქართველოს სსრ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. ამრიგად, ერთი მოვალეობა იცვლება მეორე მოვალეობით. შრომითი სამსახური ითვალისწინებს მოქალაქის მიერ საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საჭირო, მძიმე, შრომის მავნე ან საშიშპირობებიანი, ნაკლებკვალიფიციური, დამხმარე სამუშაოების, ასევე კატასტროფებისა და სხვა სტიქიური თუ ეკოლოგიური უბედურებების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების შესრულებას. მართალია, შრომითი (ალტერნატიული) სამსახურის მოხდა ვალდებულებაა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ჰუმანურობიდან გამომდინარე, იმ შრომის მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად, რომლებიც არ შევა საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საჭირო სამუშაოებში, საჭიროა მოქალაქეთა წერილობითი თანხმობა.

შრომითი სამსახური, ისევე როგორც სამხედრო სამსახური, სრულიად სხვა დამოუკიდებელი ინსტიტუტია; თავისი აღრიცხვით, (როგორც წვევამდელთა, ისე გაწვეულთა და თადარიგის) ტექნიკური პერსონალით და სხვა. სამხედრო სამსახურის მსგავსად იგიც შედგება სავალდებულო შრომითი სამსახურისა და თადარიგის სამსახურისაგან. სავალდებულო შრომით სამსახურში გაიწვევენ 18–27 წლის მოქალაქეებს 2 წლის ვადით, რომლებიც შემდეგ შრომითი სამსახურის თადარიგში რჩებიან 50 წლის ასაკამდე. ამ უკანასკნელთა გაწვევა ხდება შრომითი მობილიზაციით. მხოლოდ სამ თვემდე ვადით. ამრიგად, პირი როგორც კი მოიხსნება სამხედრო სამსახურის აღრიცხვიდან და დადგება შრომითი სამსახურის აღრიცხვაზე, ჩაითვლება შრომავალდებულად და ასეთად ითვლება ის, ვიდრე შრომითი სამსახურის კომისიის მიმართვის საფუძველზე არ დადებს საწარმოსთან თუ ორგანიზაციასთან შრომის ხელშეკრულებას. უშუალოდ სამსახურის მოხდის პერიოდში პირი ჩაითვლება შრომით მოსამსახურედ. სამსახურის მოხდის შემდგომ იგი კვლავ იმოსება შრომავალდებულის სტატუსით და ასეთად რჩება 50 წლის ასაკამდე.

შრომითი სამსახურის ალტერნატიულობა სამხედრო სამსახურის მიმართ, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი დამოკიდებულია ან გამომდინარეობს სამხედრო სამსახურიდან. შრომითი სამსახური არის სრულიად სხვა სისტემა, ახალი და დამოუკიდებელი რგოლი სახელმწიფო სტრუქტურაში. იმ პირს, რომელსაც აღრიცხვაზე აიყვანს შრომითი სამსახურის კომისია, არავითარი კავშირი აღარ ექნება სამხედრო სამსახურის სისტემასთან, იგი თავისი უფლება-მოვალეობებით გადმოინაცვლებს შრომითი სამსახურის სისტემაში, რომელიც თვითონ კისრულობს ამ პირთა სამართლებრივ დაცვას, დასაქმებას, კონტროლს და სხვა.

შრომით სამსახურსა და ჩვეულებრივ შრომით საქმიანობას შორის პრინციპული განსხვავებაა. კერძოდ შრომითი საქმიანობა არის მოქალაქეთა, როგორც უფლება, ისე მოვალეობა, მაშინ როცა შრომითი სამსახური მხოლოდ მოვალეობაა, შრომითი ბეგარაა სახელმწიფოს წინაშე და კიდევ: შრომითი საქმიანობის დროს მუშა-მოსამსახურეთა ნება თავისუფალია, არაა შეზღუდული: მათ აქვთ სამუშაოს არჩევის, შეცვლის, შეწყვეტის შესაძლებლობა, მაშინ, როცა შრომით სამსახურში შრომით მოსამსახურეთა ნება შეზღუდულია: მათ შრომით სამსახურში აგზავნიან, შრომითი სამსახურის კომისიების მიერ მითითებულ ადგილას, ასრულებინებენ კომისიების მიმართვით გათვალისწინებულ სამუშაოებს, არა აქვთ უფლება საკუთარი ინიციატივით მოშალონ შრომის ხელშეკრულება, ისარგებლონ ყოველწლიური კუთვნილი შვებულებით და სხვა. შრომით მომსახურეზე სამსახურის მოხდის პერიოდში მუდმივად ხორციელდება კონტროლი. ამასთან, გათვალისწინებული იქნება ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შრომითი სამსახურისაგან თავის არიდების შემთხვევაში.

კანონი შრომითი სამსახურის შესახებ მიღებულია, მაგრამ იმისათვის, რომ იგი არ დარჩეს ქაღალდზე და შეძლებისდაგვარად იმოქმედოს, საჭიროა ამ სამსახურის მექანიზმის ღრმად გააზრება და მისი ცხოვრებისეულ რეალიებთან მორგება. ეს კი დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. კანონის ამოქმედებისათვის საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება. ისინი ჩვენ ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ; ნორმატიული ხასიათის და პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებებად. პირველს მიეკუთვნება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის დამტკიცება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ შრომითი სამსახურის კომისიებისა და შრომითი სამსახურის გავლის შესახებ დებულებების შემუშავება და დამტკიცება, საჭიროა ასევე შედგეს და დამტკიცდეს შრომითი სამსახურისათვის შესაბამისი, სამუშაოების ნუსხები და სხვა. აუცილებელია ასევე სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შრომითი (ალტერნატიული) სამსახურის შესახებ კანონის საფუძველზე. ამ ცვლილება-დამატებათა პროექტის ერთი ვარიანტი უკვე შემუშავდა თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე და იგი წარდგენილია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში. ეს ცვლილება-დამატებანი ითვალისწინებენ იმ წვევამდელთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას, რომლებიც კანონის შესაბამისად უარს განაცხადებენ სამხედრო სამსახურში მსახურზე და იმსახურებენ შრომით (ალტერნატიულ) სამსახურში, აგრეთვე განსაზღვრულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში იმ პირთა მიცემის საკითხი, რომლებიც თავს აარიდებენ შრომით სამსახურს, ამ სამსახურში გაწვევასა და შრომითი მობილიზაციით გაწვევას;

რაც შეეხება პრაქტიკულ ხასიათის ღონისძიებებს, აქ შევა უშუალოდ შრომითი სამსახურის კომისიების შექმნა და მათი შემადგენლობების დამტკიცება ადგილებზე პირობების მომზადება შრომითი სამსახურის გასავლელად და სხვა.

როგორც ჩანს, შრომითი სამსახური ახალი პრობლემების წინაშე გვაყენებს. თუნდაც ის რად ღირს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით სახალხო მეურნეობის დარგებიდან გამოთავისუფლდება ჭარბი რაოდენობის მუშახელი და რესპუბლიკა უმუშევრობის პრობლემის წინაშე დადგება. ხოლო შრომავალდებულები თავის მხრივ საჭიროებენ დასაქმებას. ამგვარმა პრობლემებმა არ უნდა შეგვაშინოს, საჭიროა ისინი გადავჭრათ დროულად, უმტკივნეულოდ და, რაც მთავარია, გონივრულად, ამიტომ შრომით (ალტერნატიულ) სამსახურს, ამ უდაოდ დემოკრატიულ ინსტიტუტს, მთელი ქართველი საზოგადოების მხარდაჭერა და ხელისშეწყობა სჭირდება. მაგრამ მხოლოდ საზოგადოების მხარდაჭერა ვერ გადაჭრის პრობლემებს, ვერ აამოქმედებს შრომით სამსახურს. აუცილებელია იმ ორგანოებისა და პირების მიერ, რომელთაც პირდაპირ ევალებათ კანონის განხორციელების უზრუნველყოფა, საქმის დროულად და კარგად გაკეთება, მთელი ენერგიით ხელისშეწყობა ამ სამსახურის შექმნისათვის, რამეთუ შემოდგომისათვის საქართველოში უკვე უნდა მოქმედებდეს შრომითი (ალტერნატიული) სამსახურის სისტემა.

გვჯერა, რომ შრომითი სამსახური თავს გაართმევს სირთულეებს, თავის შესაბამის ადგილს დაიმკვიდრებს სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში და აუცილებლად ჩადგება ქართველი ერის, მისი დღევანდელობისა და მომავლის სამსახურში.

**რონ მიზრიაული,**
**დავით პატარაია,**
**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები, ფაკულტეტთან არსებული ახალგაზრდა იურისტთა კლუბის წევრები.**

**გთხოვთ, ჰონორარი გადარიცხოთ სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საზოგადოების ანგარიშზე.**

თვალსაზრისი

პრობლემა

# ქართული ვაზისა და ღვინის საგოდებელი



პრობლემა

# მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი)

**ღმერთო შეგვასწარ მზიან ხარებას**

„როს გათენდება დილა მზიანი
და ყოველს ბინდსა ის
განანათლებს“.
ნ. ბარათაშვილი

მოდი დარდებს ნუ აჰყვები,
წყალდიდივით გამომრიყა,
დამავიწყა ყველაფერი,
ვინ ვიყავ, და როგორ ვიყავ.

ამდენი ხნის უაზრობით
ჰაერში ვართ გარჩენილი,...
ღმერთო შენი შვილები ვართ,
შენს იმედად დარჩენილი.

მხოლოდ შენი მადლი გვწყურის,
მადლის წყარო, მადლის ცვარი,
აწ მოგიპყრათ კრძალვით ყური, —
დიდ ხარებას შეგვასწარი.

კვლავ მოხედე საქართველოს,
მთებიანად, ბარიანად,
ვისაც ძალგიძს გვაქართველო,
ძველებურად, გვარიანად.

ღმერთო დიდო და მაღალო,
ყოვლის შემძლევ
ძვირუთქმელო,
შენ ერთს ძალგიძს გაგვახარო,
ქართლს წყლულები გაუმრთელო.

ძალგიძს მტერი მოგვაშორო,
მოუსავლეთს გაუყენო,
ყველა ორგულს და მოშურნეს,
შურის თვალი დაუყენო.

სიმტკიცით და გამტანობით,
კაცობით და ამტანობით,
ვინ ყოფილა ქართვლისთანა,
ამდენი ვინ აიტანა?!.

დედავ, დედა-ღვთისმშობელო,
კვლავ დალოცე ეს ქვეყანა,
ძველებურად აგალობე,
ქართვლის დედებს გმირთა ნანა.

ვით არწივი ლაჟვარდ ცაში,
თავისუფლად ქროლავს ლაღად,
და მაისის ყვავილები,
ეფინება ედემ-ბაღად;

ისე მოეც საქართველოს
სილაღით და შვებით ყოფნა,
ყვავ-ყორნებით ვაწამებულს,
ნუ დააგდებ ისევ ობლად...

...წამისყოფით ვისაც ძალგიძს,
მთლად სამყაროს განახლება,
ჯვარცმულისთვის — ზეცის გახსნა,
ტანჯულისთვის — ამაღლება...

შენ გზადით და გევედრებით,
ყველა წყლულის გამრთელებას,
კვლავ აღირსო საქართველოს,
მზიანი დღის გათენება.
**1990 წლის ივნისი.**

**შენ, საქართველოვ ლომგულო**

მამულო შენ გიგალობენ,
ცისა და ქვეყნის ზარები,
უნდა გავეფხვდე, გალომდე,
მტერს დაუყენო თვალები;

მტრის წამლეკ ცეცხლად აქციო, —
ერთგულ მოყმეთა ძალები,
უნდა განახლდე, ამაღლდე
ღვთიური ფერისცვალებით,
შენ საქართველოვ, ლომგულო,
ღვთის ნათლულს გეძახიანო,
წმინდა გიორგი წინ გიძღვის,
მტერი მან გაგინიავოს...
დაჩოქებული ვერ გნახონ,
ღვთის ძალით იმედიანო,
სიმღერას გამარჯვებისას
არწივნი დაგყივიანო.

●

პოეზია მიგნების,
ცათა ლურჯი წიგნების, —
სიყვარულით ცის გახსნა,
სულ იყო და იქნების.
ვარსკვლავების მრიცხველი,
ჭკნობის გამომრიცხველი,
ცად აფრენას ვინც ელის,
სულ იყო და იქნების.
ნათლისთვის თავდადება,
სიკვდილით არ თავდება,
ჯანად ათავთავდება, —
სულ იყო და იქნების
ყოფნა არაფერია,
თუ მადლი არ გვერია....
მაღლით ჯვარი გვწერია, —
სულ ვიყავთ და ვიქნებით.

**მეფე ვახტანგ გორგასალი**

უხაროდა თერგს და ლიახვს
ენგურს, მტკვარს და ალაზანს
დიდმა მეფემ კლდე-დარიალს —
კარი მტკიცედ ჩარაზა;
დარიალის ხეობაში —
შენ გადიდდი დღეო მაშინ.

●

ღამდება... სევდა იღვიძებს,
ვარსკვლავებს გააქვთ შრიალი...
ფიქრში ჩაძირულ გოგონას
ჰგავს ღამე კაეშნიანი.
ვარსკვლავთა სუსტი სხივნია —
ჰყვავიან, როგორც იანი.

**საფარა**

შენი სიმტკიცე, კლდეზე ნაგები,
არს ჯოჯოხეთის ბჭეთა მლაწვრელი,
მარადისობით შენ ხარ ნაქები,
უკვდავებაა შენი სახელი.

მაცხოვრის მადლით
მირონცხებულო,
შენ გფარავ ვიდრე უფალი მოვა,
რომ გაწამებულ კაცობრიობას,
ეკმაროს ცრემლი, დარდი და
გლოვა.
ცისკენ წასული შენ ხარ დიდება,
უნუგეშოთა შენ ხარ ნუგეში...
შენის სიმშვიდით სული
მშვიდდება,
და ცრემლი ბრწყინავს თვალთა
გუგებში.

●

ბედნიერება ახლოს არ მოვა,
იგი შორიდან გვეთამაშება,
ბედნიერია ვინც ქვეყნად ჰპოვა,
სულის სიმშვიდე და სულის შვება.

**ისევ ილოცებს ლომების გვარი**

მტერმა გათიშა ხმალი და ჯვარი,
რომ მორეოდა საქართველოსა...
ისევ ილოცებს ლომების გვარი,
იმ ლოცვით, როგორც ადრე
ელოცა.

**ღმერთო გვიშველე**

ღმერთო გვიშველე, კვლავ
აგვიშენე,
სალოცავები შენი,
მამულის მტერი გადაგვიშენე,
შენ ხომ ყველაფერს შველი.
ნურც მოგვშლია, ნურც მოგვეშალოს,
ქვეყნად იმედი შენი.
1978 წ.

**წინაპრები**

ფეხმიშველმა, მუხლისმოყრით,
ვინც ილოცა ლომისაო,
მერმე ჯავრი აღარ ჰქონდა
უთვლელ მტრებთან ომისაო.
დრო არ დარჩა გადამთიელს,
ჩვენს მიწაზე დგომისარ,
ქარმა შორით შორს წაიღო,
ფოთლად შემოდგომისაო.
ვეფხის მომრევ მოყმის ხელი,
როგორც ტორი ლომისაო,
შუბლში მოხვდა მოძალადეს,
გაქრა ბნელის ტომისაო.
...ვინაც მამულს შეეწირა,
გამობრწყინდა მადლითაო,
თვით უფალი შეეწიათ,
ანათებენ მადლითაო;
ხარის რქებზე წმინდა სანთლებს,
აანთებენ თრთოლვითაო,
ინეტარეთ დიდნათელში,
დაღლილებო ბრძოლითაო.

**ვინც წმინდა ხატებს შეჰხარის**

ვინც წმინდა ხატებს შეჰხარის,
თვითონაც ხატად იქცევა,
მაშინ, არც ეგრე ძნელია,
ამა ქვეყნიდან მიქცევა.

ლექსები

**და ფეხს იკიდებს გულგრილობა.**

და ფეხს იკიდებს გულგრილობა,
უმწვერვალესი,
ცოტაღა სითბო, სიყვარული, ცოტა
ალერსი...
ყველა საკუთარ ფუსფუსით და
ზრუნვით გართული...
რაიღა რჩება უწმინდესი, ძველი,
ქართული?!

**მოწკრიალე ფანდურებო**
**(ვუძღვნი პატარებს, ანგელოზებს)**

მოწკრიალე ფანდურებო,
სიყვარულის მზეებო,
მე უთქვენოდ, საყვარლებო,
სევდას როგორ შევება?....

რას ფიქრობენ ყვავილები,
რას მღერიან ხეები,
რას ჩურჩულებს ნიავ-ქარი,
სუნთქვა სამოთხეების?!.

მზის და მთვარის ქორწილია,
ვარსკვლავების სიცილი
ღმერთმა ყველას განგიქარვოთ
დარდი, თქვენ-თქვენი წილი...

სამამულო სიმღერები.
იგალობეთ ხმიანად,
ვინც რომ კაცად გაჩენილხართ,
დარჩით ადამიანად.

მოწკრიალე ფანდურებო,
სიყვარულის მზეებო,
თქვენ მასწავლეთ, საყვარლებო,
სევდას როგორ შევება.

**საქართველოს მთებში**

აქ ყოველი მდინარე
აიაზმის წყალია,
თუმცა ბედი მძვინვარე,
ჩვენზე მუდამ მწყრალია,
სიხარულის გრიგალო,
ჟამით არ შეიცვლები,
უკვდავება გიგალობს,
ღვთის ნათლულად ითვლები.

**ლაზარე**

წასული ბევრი გვინახავს,
ძობრუნებული — არავინ,
ხშირად მსმენია ეს სიტყვა —
სიცოცხლის ზაფრით მზარავი,
დაბნელებულა გონება,
მოსძალებია წკვარამი,
დაღლილა გული წამებით,
სევდით, დარდით და ვარამით...

ვიდოდნენ დღენი, იმედით
ბნელში მზესავით ნათობდა,
სიცოცხლის სული კეთილი,
ფრთას მაფარებდა, მათბობდა;
ბნელი სინათლეს ებრძოდა, —
ნათელი რაღად დათმობდა
და ასე დაუსრულებლად
ორი ხმა ეკამათოდა...

. . . . .

აღსდგა უფალი და ყველას
იმედის დილა გვახარა;
გამარჯვებულმა სიცოცხლემ
დაჰკრა ბუკი და ნაღარა, —
სიკვდილი მოკვდა — ჯალათი,
აწ შეგვაშინებს აღარა...
ცაში აღფრინდეს მძლავრ
ფრთებით,
ვინც ერზე ზრუნვამ დაღალა.

. . . . . .

ვიდრემდის აღსდგა უფალი,
მკვდარ აღადგინა მრავალი,
ბევრჯერ დასთრგუნა სიკვდილი, —
ბოროტით გამომავალი,
გვიჩვენა ზეცა გახსნილი,
გზა-ყვავილოვან სავალი,
სამოთხის მადლი ბრწყინვალე, —
როგორც მზე ამომავალი;
მაგრამ სხვა იყო ყველაზე
მკვდრეთით აღდგენა ლაზარის,..
სიცოცხლემ ფრთები გაშალა, —
ეშმაკს დაეცა თავზარი:
ნუღარ გაშინებთ სიკვდილი,
სიკეთის გზაზე მავალებს,
ცისა და ქვეყნის სიყვარულს,
უფალი ყველას გვავალებს...

●

გაიშრიალებს ვარსკვლავთა
ფარდა...
მიწა იმზევებს.... ცა თუ იხსნება...
სასწაულების და რწმენის გარდა,
საიდუმლონი ვით აიხსნება?!
მარადზე — ფიქრიც ველარ
ხერხდება...
მიწა დამძიმდა... ზეცა გვემდურის...
ძეხორციელი მაინც ვერ ხვდება,
რო არს მარტო და არს უბედური.
ჩაძინებულან თითქოს ცოცხალნი.
რა ეშველება ასეთ ამინდებს?..
მოვა ღმერთკაცი — მოძღვართ-
მოძღვარი,
დანავლულ რწმენას ის თუ
აგვინთებს!..
1989 წ.

**სიმართლე თვალის სინათლე**

მოდი, დარდებს ნუ აჰყვები,
წყალდიდივით გამომრიყა,
დამავიწყა ყველაფერი —
ვინ ვიყავ და როგორ ვიყავ.....
შემოვივლი საქართველოს
მთებიანა — ბარიანა...
ნეტა კიდევ მაქართველოს
ძველებურა, გვარიანა...

კონტაქტები

# ასეთი შორი და ასეთი ახლობელი საქართველო

**როგორც ქართველი საზოგადოებისთვისაა ცნობილი, 1 ივლისს დაიწყო და 15 აგვისტომდე გასტანს I ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა-სემინარი, რომლის ინიციატორი და მასპინძელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, და რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 60-მდე წარმომადგენელი მონაწილეობს.**

— გამარჯობათ, მე ია მქვია.

— ია... აი ია — ჩამომარცვლა მაღალმა, სათვალიანმა ამერიკელმა თავისებურად ლამაზი ქართულით, — მე სტივი ვარ, სტივ რაპი.

ასე გავიცანით ერთმანეთი ჩვენი უფროსი მეგობრის, პროფესორ გიორგი გაჩეჩილაძის წყალობით.

●

სტივ რაპი 1968 წლის 14 ივლისს დაიბადა ბლუმინგტონში, ჰყავს მშობლები, და. მამა აშშ-ს შეიარაღებულ (საზღვაო) ძალებში მუშაობს ინჟინრად. დედა დაწყებითი სკოლის პედაგოგია. და, 19 წლის ემი, — ვინსენტის უნივერსიტეტის სტუდენტი. ცხოვრობენ ინდიანას შტატის პატარა ქალაქ ბლუმფილდში. აქვთ საკუთარი სახლი.

თავად სტივი ბლუმინგტონში დაქირავებულ ბინაში ცხოვრობს, მარტო. ყველაფერს თვითონ აკეთებს.

— სადილის მომზადება მიჭირს, თორემ, სხვა მხრივ, ყველაფერი რიგზეა,—მეუბნება სტივი, — მიყვარს ცხარე საჭმელები. მექსიკური, ჩინური და ქართული სამზარეულო, ჩემი აზრით, საუკეთესოა მსოფლიოში...

სტივი არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნის. ქრისტიანი ვარო, ამბობს ამაყად.

სტივ რაპმა წელს ბლუმინგტონის უნივერსიტეტის სოვეტოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. ფაკულტეტი ყველაფერს მოიცავს, რაც საბჭოთა კავშირს შეეხება: პოლიტიკას, ეკონომიკას, ისტორიას, ლიტერატურას, ხელოვნებას....

პარალელურად მუშაობდა ინდიანას უნივერსიტეტთან არსებულ ხელოვნების მუზეუმში მეთვალყურედ, სადაც საათობრივი ანაზღაურებაა, თითო საათზე — 4 დოლარი და 25 ცენტი.

●

ამერიკაში დაბრუნებისთანავე მიჩიგანის უნივერსიტეტში განაგრძობს სწავლას, უკვე როგორც ასპირანტი.

— შევისწავლი არა სსრკ-ს, არა რუსეთის, არამედ საქართველოს ისტორიას, თუმცა ძალიან გამიჭირდება...

— რატომ დაინტერესდი საქართველოთი?

— ამ სამიოდე წლის წინათ კრასნოდარში ვიყავი. რუსული ენის შესასწავლად. ორი დღით თბილისში ჩამოგვიყვანეს. ქუჩაში შუახნის კაცმა გამაჩერა, გამომელაპარაკა, შემატყო, ალბათ, აქაური რომ არ ვიყავი. მერე თავისთან მიმიპატიჟა და საქართველოზე ბევრი რამ მომიყვა. დავინტერესდი. ამერიკაში ჩასულმა ინდიანას უნივერსიტეტის „ლილიის“ ბიბლიოთეკას მივაშურე, სადაც უამრავი მასალა არსებობს საქართველოს შესახებ. რას არ ნახავთ აქ: წიგნებს, ხელნაწერებს, დოკუმენტებს. ბიბლიოთეკაში დაცულია სულხან-საბა ორბელიანის 1713 წლის ხელნაწერი — „სიტყვის კონა“.



სტივ რაპმა იმავე წელს დაიწყო ქართული ენის შესწავლა, რაშიც მას დიდი დახმარება გაუწია ბლუმინგტონის უნივერსიტეტის პროფესორმა, ქალბატონმა დოდონა კიზირიამ, ერთი წლის შემდეგ სტივს მზად ჰქონდა 20-გვერდიანი მოხსენება: „დავით აღმაშენებლის საეკლესიო რეფორმები“ ინგლისურ ენაზე. იმავე წელს წაიკითხა იგი უნივერსიტეტში ფართო აუდიტორიის წინაშე.

— ამერიკაში თითქმის არაფერი იციან საქართველოს შესახებ — ამბობს სტივი, — ამ მოხსენებამ საოცარი ინტერესი გამოიწვია. მეტის გაკეთებაა საჭირო. საქართველო — დიდებული წარსულისა და ადამიანების ქვეყანა — ჯეროვანი ყურადღების ღირსია...

სწორედ ამიტომ გადაწყვიტა აქაურობაზე რაღაც სხვანაირად შეყვარებულმა კაცმა მიჩიგანის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება და საქართველოს ისტორიის საფუძვლიანად შესწავლა.

ასპირანტურაში სწავლების პირველ წელს გადასახადია 18 ათასი დოლარი.

ასპირანტს შეუძლია სახელმწიფო ბანკიდან აიღოს კრედიტი და 20 წლის განმავლობაში დაფაროს.

ასპირანტურაში სწავლების ვადა არ არის შეზღუდული. დისერტაციის დაცვამდე ასპირანტს უფლება აქვს ისწავლოს, იმუშაოს...

— მიჩიგანის უნივერსიტეტს საქართველოს ისტორიის სპეციალისტი არ ჰყავს, — ამბობს სტივი, — იქ არსებული არმენოლოგიის კათედრა კი, ვფიქრობ, ბევრი ვერაფრით დამეხმარება. (სხვათა შორის, სომხური ენა, ისტორია მეტად პოპულარულია დღეს ამერიკაში, რაც სომეხი ემიგრანტების დამსახურებაა). ერთადერთი პიროვნება, რომელიც ასე თუ ისე იცნობს საქართველოს, არმენოლოგიის კათედრის პროფესორი რონალდ სუნი გახლავთ. მან რამდენიმე წლის წინ დაწერა წიგნი „ქართველი ერის ისტორია“ ინგლისურ ენაზე.

— რამდენადაც ვიცი, ეს წიგნი სომხებს ქართველი ხალხის წინამორბედად თვლის, რაც, თავისთავად, არასწორია...

— მართალია. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, მარტომ ვიმუშაო, რეალურ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ოღონდ, აუცილებლად საქართველოსთან, თბილისელ ისტორიკოსებთან უშუალო კავშირითა და თანამშრომლობით.

●

— ხელოვნების რომელი დარგია შენს სულთან უფრო ახლო?

— მუსიკა მიყვარს ყველაზე მეტად. კლასიკური მუსიკა, როკენ-როლი. ქართული ხალხური სიმღერების შესწავლას ვაპირებ....

— შენი საყვარელი მომღერალი?

— სტინგი (გორდონ სამნერი).

— შენი ჰობი?

— წიგნებისა და ხელნაწერების შეგროვება.

თქვენს შესახებ რატომ არაფერს მეკითხებით? — შემომიბრუნდა სტივი...

— ???

— უცნაური ხალხი ხართ, ყველასაგან გამორჩეული. სიმღერისთვის და ღიმილისთვის დაბადებული.

ამას წინათ ქართული ეროვნული დროშის ყიდვა მინდოდა. ქართულად დაველაპარაკე გამყიდველს და... მაჩუქა. ეს შენ, დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოსაგანო. მადლობის თქმაც ვერ მოვახერხე.

●

სტივ რაპი ერთი ჩვეულებრივი (იქნებ არაჩვეულებრივიც) ახალგაზრდაა, რომლისთვისაც ასეთი შორი და ასეთი ახლობელია საქართველო.

**ია აბუაშვილი.**

**სურათზე: სტივ რაპი.**

ალტერნატიული კუთხე

# მიმართვა

## აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 58 დეპუტატისადმი

როგორც ცნობილია, ა. წ. 31 ივლისს გაზეთებში „აფსნი ყაფში“, „საბჭოთა აფხაზეთი“, „სოვეტსკაია აფხაზია“ გამოქვეყნდა თქვენი მიმართვა აფხაზეთის ასსრ ყველა მოქალაქისადმი, (შემდეგში იგი გადაბეჭდა გაზეთმა „ახალგაზრდა ივერიელმა“).

როგორც მიმართვაშია აღნიშნული, თქვენ, პატივცემულო დეპუტატებო, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე დააყენეთ საკითხი სესიის ჩატარების შესახებ. სადაც უნდა განხილულიყო ისეთი საკითხები, რომელთა მომზადება მოხდა ცალმხრივად, ქართული მოსახლეობის და სხვა ეროვნებების წარმომადგენელთა აზრის გაუთვალისწინებლად.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის ცხუმ-აფხაზეთის განყოფილებას მიზანშეწონილად მიაჩნია თქვენი მიმართვის გამო განაცხადოს შემდეგი:

1. სამართლებრივი მექანიზმი აფხაზეთის სტატუსის შესახებ შემუშავდეს არა ცალმხრივად, არამედ ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან განსაკუთრებით სამართალმცოდნეებთან, პოლიტოლოგებთან, ისტორიკოსებთან, უშუალო თანამშრომლობით.

2. მიგვაჩნია, რომ თქვენთვის არსებითი საკითხები განხილული იქნას მას შემდეგ, როდესაც დემოკრატიულად არჩეული იქნება საქართველოს მრავალპარტიული პარლამენტი. ერთპარტიული პარლამენტი, როგორც თქვენთვის ცნობილია, მსოფლიოს არც ერთ ცივილიზებულ, სამართლებრივ ქვეყანაში არ გამოხატავს ხალხის ნებას. ჩვენი აზრით, ამ მხრივ, არც აფხაზეთი უნდა იყოს გამონაკლისი.

3. მოგიწოდებთ, მონაწილეობა მიიღოთ საქართველოს მრავალპარტიული დემოკრატიული პარლამენტის არჩევნებში.

გეთანხმებით, როცა წერთ, რომ „პარლამენტური გზა ერთადერთი შესაძლებელი ხერხია პრობლემების გადასაწყვეტად“. გამომდინარე აქედან, მიგვაჩნია, რომ აფხაზეთშიაც არჩეულ უნდა იქნას მრავალპარტიული დემოკრატიული პარლამენტი. სადაც უნდა გადაწყდეს ყველა პრობლემური საკითხი. მანამდე კი აუცილებელი იქნება ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნების კანონპროექტებისა და პროცესუალური საკითხების მოსამზადებელი სამუშაოები საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკური ორგანიზაციებისა და ყველა იმ დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, რომლებიც დგანან დემოკრატიულ პოზიციებზე.

**საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის ცხუმ-აფხაზეთის განყოფილება.**

# განცხადება

საქართველოს ტერიტორიაზე, განლაგებულ მთელ რიგ საკავშირო და რესპუბლიკურ დაქვემდებარების ორგანიზაციებში, ასევე საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში მიმდინარეობს მუშა-მოსამსახურეების პირადი შემოსავლების (ჰონორარების) დაბეგვრა ამა წლის 1 ივლისიდან ძალაში შესული პირად შემოსავლებზე სადაბეგვრო საკავშირო კანონის საფუძველზე, რაც არასწორია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 20 ივნისის სესიის დადგენილებით საქართველოს სსრ-ში შეჩერებულია საკავშირო სადაბეგვრო კანონის მოქმედება. აქედან პირადი შემოსავლების დაბეგვრის ნორმა უნდა განისაზღვროს აქამდე არსებული წესით. ხოლო უკვე დაბეგრილი თანხის სხვაობა უნდა დაუბრუნდეს მოსამსახურეებს. სამწუხაროდ მასობრივი-ინფორმაციის საშუალებებმა საერთოდ არ გააშუქეს ეს საკითხი, როდესაც ის რეალური პირველი ნაბიჯია საქართვლოს დამოუკიდებელი სადაბეგვრო-ეკონომიკური სისტემის შექმნის გზაზე.

**საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიული პარტიის გამგეობა.**

# თავს ქართველად თვლიდა

გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა (17.06.90 წ.) ინფორმაცია ბათუმის აეროპორტში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქის ჰანს ულრიხ შნაიდერის მცირე ხნით „სტუმრობის“ შესახებ, რამაც გამახსენა ლვოვის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალული ჩვენი თანამემამულეები.

„დიდების ბორცვი“ — ასე იწოდება ლვოვის მთავარ ძმათა სასაფლაოს, სადაც დაკრძალულნი არიან 1941-1945 წ. წ. დიდ სამამულო ომში დაღუპული ჩვენი მეომრები.

მთავარი სასაფლაო იმიტომ ვთქვი, რომ ლვოვში არის კიდევ სხვა სასაფლაოები, სადაც ქართველებიც არიან დაკრძალულნი.

„დიდების ბორცვის“ დათვალიერების დროს მივაკვლიე სამი ქართველი მეომრის საფლავს, სადაც განისვენებენ რიგითი დ. ბ. ქვანია, პოლკოვნიკი ი. გ. ქანთარია და პოლკოვნიკი ს. ლ. მაღრაძე.

სამხედრო მუზეუმის თანამშრომლებს თავი წარვუდგინე და ვთხოვე, ეჩვენებინათ დასახელებული სამი ქართველის პირადი საქმეები. მათ სამივე საქაღალდე გადმოიღეს კარადიდან და თან დასძინეს, რომ „დიდების ბორცვზე“ განისვენებს არა სამი, არამედ ოთხი ქართველი. მათ ჯერ სასაფლაო, ხოლო შემდეგ ამ მეოთხე ქართველის პირადი საქმეც მაჩვენეს.

მე გამიკვირდა და ალბათ მკითხველიც გაიკვირვებს, რომ მეოთხე საფლავის ქვაზე აწერია: გენერალ მაიორი ბორის ივანეს ძე შნაიდერი. მის პირად საქმეში წერია, რომ იგი დაბადებულია ქ. თბილისში 1908 წელს, ეროვნებით არის ქართველი, დაიღუპა ლვოვში 1945 წლის 19 მარტს.

ზოგისათვის ჰკუის სასწავლებელი ფაქტი კია, ღმერთმანი! გერმანული წარმოშობის კაცი თავს ქართველად თვლიდა, რადგან დაიბადა საქართველოში, ცხოვრობდა ქართველების გვერდით და იზიარებდა მათ ჭირსა და ლხინს!

**იპოლიტე გამსახურდია**

# ყურადღება! ყურადღება! ყურადღება!

# პატივცემულო მეგობარო!

**იმ 5 წუთმა, რომელიც ამ ანკეტის შევსებისათვის დაგეკარგებათ, შესაძლოა ათწლეულობით გაახანგრძლივოს თითოეული ჩვენგანის ჯანმრთელობა და სიცოცხლეც კი. ნუ დაინანებთ ხუთ წუთს ჩვენი ერის ჯანმრთელობისა და მისი ჯანსაღი შთამომავლობისათვის!**

**როგორია ფართო საზოგადოებრიობის დამოკიდებულება შიდსისადმი, გვაქვს თუ არა გაცნობიერებული საფრთხე, რომლის წინაშეც ვდგავართ, ვიცით თუ არა პრობლემებთან დაკავშირებული ინფორმაციის თუნდაც მინიმუმი, როგორ მივაპყროთ საზოგადოებრიობის ყურადღება შიდს, რომელიც არნახული საფრთხით ემუქრება ჩვენს ცივილიზაციას...**

**— ესაა არასრული ჩამონათვალი კითხვებისა, რომლებსაც წინამდებარე საზოგადოებრივმა გამოკითხვამ უნდა გასცეს პასუხი.**

**ბარათის შევსების ფორმა მარტივია: სადაც პასუხები წინასწარ არის მოცემული, საჭიროა შემოიხაზოს ასოებით აღნიშნული ის ნომერი, რომელიც უფრო ახლოს დგას თქვენს პოზიციასთან, თუ პასუხები არ არის ჩამოთვლილი, მაშინ დატოვებულ ადგილზე თქვენი მოსაზრება უნდა შეიტანოთ.**

**თქვენს მიერ მოცემული პასუხები არა მხოლოდ პრობლემისადმი საზოგადოებრიობის დამოკიდებულების გარკვევაში დაგვეხმარება, არამედ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს იმის გარკვევაშიც, თუ როგორი მიმართულებით უნდა წარიმართოს ჩვენი ორგანიზაციის შემდგომი მუშაობა.**

**პასუხები გთხოვთ გამოგვიგზავნოთ შემდეგ მისამართზე: 380002, თბილისი, არდონის ქ. 22. საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოება (ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“).**

**1. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ შიდსი ჩვენი საუკუნის ყველაზე საშინელი და ავადებაა?**

ა) დიახ.
ბ) არა,
გ) არ ვიცი.

**2. არის თუ არა ეს პრობლემა აქტუალური ჩვენი რესპუბლიკისათვის?**

ა) დიახ,
ბ) არა,
გ) არ ვიცი.

**3. როგორ ასოციაციებს იწვევს თქვენში შიდსი?**

ა) ვუყურებ გულგრილად,
ბ) იწვევს პანიკურ შიშს,
გ) დაავადებასთან შეხების წერტილი არ მაქვს და არც შეიძლება მქონდეს.
დ) (განსხვავებული აზრი გთხოვთ, მიუწეროთ).

**4. ხართ თუ არა საკმარისად ინფორმირებული დაავადების შესახებ?**

ა) დიახ,
ბ) არა,
გ) არ ვიცი.

**5. თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი გზით არის შესაძლებელი შიდსის დაავადება:**

ა) სქესობრივი კონტაქტის დროს,
ბ) სისხლის გადასხმისას,
გ) სისხლის ჩაბარებისას,
დ) პირის პარსვის დროს საპარიკმახეროში,
ე) მანიკურისა და პედიკურის კეთებისას საპარიკმახეროში,
ვ) აუზებით, საერთო აბაზანებით, უნიტაზებით სარგებლობისას,
ზ) ჰაერით — შიდსით დაავადებულთან ლაპარაკის დროს,
თ) ავადმყოფისათვის ხელის ჩამორთმევით,
ი) კოღოსა და სხვა მწერების კბენისას,
კ) პირადი ჰიგიენის საერთო სარგებლობის საშუალების (სავარცხელი, პირსახოცი, ღრუბელი, საპონი და ა. შ.). გამოყენების შედეგად,
ლ) საერთო ჭურჭლით სარგებლობით,
მ) ინექციების (ნემსის კეთების) შედეგად,
ნ) კოცნით,
ო) ვირუსით დაავადებული ქალისაგან ნაყოფისათვის გადაცემა მუცლადყოფნის დროს,
პ) ახალშობილს დაავადებული დედისაგან.

**6. ამცირებს თუ არა ინფიცირების რისკს პრეზერვატივით სარგებლობა?**

ა) დიახ,
ბ) არა,
გ) არ ვიცი.

**7. შეიძლება თუ არა ადამიანის გარეგნობით დადგენა, რომ იგი დაავადებულია შიდსით?**

ა) დიახ,
ბ) არა,
გ) არ ვიცი.

**8. შეიძლება თუ არა შიდსით დაავადებულმა ადამიანმა არ იცოდეს თავისი ავადმყოფობის შესახებ?**

ა) დიახ,
ბ) არა,
გ) არ ვიცი.

**9. არის თუ არა საშიში შიდსით დაავადებულ ადამიანთან საყოფაცხოვრებო ურთიერთობა?**

ა) დიახ,
ბ) არა,
გ) არ ვიცი.

**10. მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ შიდსით დაავადებულ ადამიანთა საზოგადოებისაგან იზოლირება?**

ა) დიახ,
ბ) არა,
გ) არ ვიცი.

**11. ჩვენს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა უზრუნველყოფს თუ არა მოქალაქეთა დაცვას დაავადების რისკისაგან?**

ა) დიახ,
ბ) არა,
გ) არ ვიცი.

**12. რისი გაკეთებაა ამ მიმართულებით აუცილებელი? (პასუხი მიუწერეთ).**

**13. ატარებენ თუ არა სამთავრობო ორგანოები გადაუდებელ ღონისძიებებს, რათა შიდსი ფიზიკური განადგურების საფრთხით არ დაემუქროს საქართველოს მოსახლეობას?**

ა) დიახ,
ბ) არა,
გ) არ ვიცი.

**14. რისი გაკეთებაა ამ მიმართებით აუცილებელი? (პასუხი მიუწერეთ).**

**15. საკმარისად მიგაჩნიათ თუ არა ამ თვალსაზრისით ჯანდაცვის ორგანოების მუშაობა?**

ა) დიახ,
ბ) არა,
გ) არ ვიცი.

**16. დამაკმაყოფილებლად თვლით თუ არა სანეპიდსადგურის დაწესებულებების მუშაობას?**

ა) დიახ,
ბ) არა,
გ) არ ვიცი.

**17. საშუალოდ რამდენჯერ მიწევთ სამედიცინო დაწესებულებებისათვის მიმართვა:**

ა) სისტემატურად,
ბ) წელიწადში ორ-სამჯერ,
გ) იშვიათად.

**18. როგორ გგონიათ, სამედიცინო ინსტრუმენტების სტერილიზაცია მედდაწესებულებებში ხდება დადგენილი წესების დაცვით თუ არა?**

ა) დიახ,
ბ) არა,
გ) არ ვიცი.

**19. რამდენად ხშირად გიწევთ საპარიკმახეროებით სარგებლობა:**

ა) სისტემატურად,
ბ) იშვიათად,
გ) წელიწადში ორ-სამჯერ,
დ) არ მიწევს სარგებლობა.

**20. რა სახის მომსახურებით გიწევთ სარგებლობა საპარიკმახეროებში:**

ა) თმის ვარცხნილობა და შეკრეჭვა,
ბ) მანიკური,
გ) პედიკური,
დ) პირის პარსვა.

**21. იცავენ თუ არა საპარიკმახეროები სტერილიზაციისა და ჰიგიენის წესებს?**

ა) დიახ,
ბ) არა,
გ) არ ვიცი.

**22. ჩაგიბარებიათ თუ არა ოდესმე სისხლი შიდსის ვირუსზე შესამოწმებლად?**

ა) დიახ,
ბ) არა.

**23. თუ არა, რატომ:**

ა) მოუცლელობის გამო,
ბ) პრობლემა ჩემთვის არ არის აქტუალური,
გ) არ ვარ დარწმუნებული შემოწმების ანონიმურობაში,
დ) ვგრძნობ ერთგვარ უხერხულობას,
ე) ჩემთვის უცნობია სათანადო ლაბორატორიების ადგილსამყოფელი,
ვ) (განსხვავებული აზრი მიუწერეთ).

**24. შუქდება თუ არა საკმარისად პრობლემასთან დაკავშირებული ასპექტები: ინფორმაციის პერიოდულ ორგანოებში:**

ა) დიახ,
ბ) არა,
გ) არ ვიცი.

საქართველოს ტელევიზია, რადიო

ა) დიახ,
ბ) არა,
გ) არ ვიცი.

**25. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს პრობლემისადმი ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების მისაპყრობად? (პასუხი მიუწერეთ).**

თუ გაქვთ სურვილი, მოგვაწოდეთ მცირე ინფორმაცია თქვენს შესახებ:

ასაკი
სქესი
სპეციალობა

**გამოკითხვის შედეგები გაანალიზდება კომპიუტერის მეშვეობით.**

**გმადლობთ თანამშრომლობისათვის!**

## ჩვენი ფოტოსალონი








**ამ ფოტოების ავტორია ნატო გონჩაროვა.** იგი ყვარელში ცხოვრობს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფოტოწრეს ხელმძღვანელობს. ნატო პროფესიით ბიოლოგია. მას დამთავრებული აქვს პერმის უნივერსიტეტი. სხვათა შორის, მშვენივრად იცის ქართული, იგი კინომოყვარულიც გახლავთ. გადაღებული აქვს ფილმები: „შავ-თეთრი", „დამაკვირდი", „როგორ ვნაყოთ წყალი", „არსაით" და ა. შ. რაც შეეხება ფოტოებს, სახელებს არ არქმევს.

ნატო გონჩაროვას ნამუშევრები სისტემატურად ქვეყნდება ყვარლის რაიონულ გაზეთში და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ყვარლის განყოფილების გაზეთ „დროუჯში". რესპუბლიკურ პრესაში კი ამჟერად მისი დებიუტია.

**საკუთარი ინფორმაცია**

# ღია წერილი

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს
**ბატონ გივი გუმბარიძეს**
საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს
**ბატონ ნოდარ ჭითანავას**
საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს
**ბატონ ირაკლი მენაღარიშვილს**
საქართველოს ექიმთა ასოციაციას
საქართველოს მოსახლეობას
გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" რედაქციას

დღეს არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, თუ რა სისწრაფით იზრდება. ტრავმების რიცხვი საქართველოში.

დღეისათვის, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო ცენტრი ჩვენს რესპუბლიკაში ერთადერთი სპეციალური დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს ტრავმულ და ორთოპედიულ ავადმყოფთა (რომელთა რიცხვი საუბედუროდ დღითიდღე მატულობს) მაღალკვალიფიციურ მკურნალობას (ცენტრის სხვადასხვა განყოფილებაში წლის განმავლობაში დახმარებას იღებს 60000-ზე მეტი ავადმყოფი), მეთოდურ-ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას და დახმარებას უწევს რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში გახსნილ ტრავმატოლოგიურ განყოფილებებს, ამზადებს მათთვის სამედიცინო კადრებს, აქ შემუშავებულია და დანერგილია მკურნალობის მრავალი ახალი, მათ შორის საქვეყნოდ ცნობილი მეთოდები, ცენტრი შედის საბჭოთა კავშირის კლინიკურ დაწესებულებათა იმ ათეულში, რომელთაც კადრების მომზადების დონის მიხედვით მინიჭებული აქვთ უფლება აწარმოონ ართროპლასტიკა ხელოვნური სახსრების გამოყენებით.

სამწუხაროდ ცენტრის ამ მაღალ პოტენციალს და თანამშრომელთა გულწრფელ სურვილს, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე გაუწიონ დახმარება ავადმყოფებს, სრულიად არ შეესატყვისება მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ კი, ყოფილ კალინინის ქუჩაზე მდებარე მთავარი კორპუსი. შენობა აშენებულია მე-19 საუკუნეში სამხედრო ყაზარმისათვის, დიდი ხანია ამორტიზირებულია და სათავსოთა განლაგებით სრულიად მოუხერხებელია სამედიცინო დაწესებულებისათვის. პალატების უმეტესობა აქ ათსაწოლიანია, თითოეულ ავადმყოფზე ნორმით გათვალისწინებული 8 კვადრატული მეტრი ფართობის ნაცვლად, მოდის მხოლოდ 2 კვადრატული მეტრი. დარღვეულია საავადმყოფოსათვის აუცილებელი ყოველგვარი სანიტარიული ნორმა.

სრული პასუხისმგებლობით გაცხადებთ, რომ დღეს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ცენტრის პაციენტები და თანამშრომლები ვდგავართ მოსალოდნელი დიდი კატასტროფის წინაშე.

ცენტრის შენობა არა მარტო მოძველებული და ამორტიზირებულია, არამედ იმყოფება უკიდურეს ავარიულ მდგომარეობაში.

1988 წლის დეკემბერში მომხდარი მიწისძვრის დროს შენობა საბოლოოდ დაზიანდა: დასკდა კედლები და იატაკი, სარდაფები ჩაივსო წყლით.

საკმარისია კიდევ ერთი, თუნდაც გაცილებით ნაკლები ძალის ბიძგი, რომ ეს საბედისწერო აღმოჩნდეს საწოლებზე „მიჯაჭვული" ასობით ავადმყოფისა და ცენტრის სამედიცინო პერსონალისათვის.

ჩვენს ამ შიშს ადასტურებს კ. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტისა და „საქმედპროექტის" თანამშრომლებისაგან შემდგარი საგანგებო კომისია დასკვნაც, რომელშიც ნათქვამია: „...შენობის გამოყენება სამკურნალო დაწესებულებად და მით უფრო სტაციონარისათვის დაუშვებლად მიგვაჩნია!".

არის თუ არა თბილისში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის დაწესებულება, რომელიც უფრო სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდეს ვიდრე ჩვენია? ვფიქრობთ, არა!

აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ცენტრის ახალი კორპუსის აშენებამდე ყოფილი IV სამმართველოს 320-ადგილიანი ახლად აშენებული საავადმყოფოს შენობის დროებით გადმოცემა ჩვენს სარგებლობაში იქნება ბრძნული და სამართლიანი გადაწყვეტილება. რაც მთავარია, იგი თავიდან აგვაცილებდა მოსალოდნელ კატასტროფას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს საავადმყოფო ჯერ კიდევ არ არის დაკომპლექტებული კადრებით, რაც თავისთავად გამორიცხავს უკვე დასაქმებული მშრომელების უმუშევრად დარჩენის რთულ პრობლემას. შენობა სავსებით მისაღებია ცენტრის გასაშლელად, და მისი ჩვენთვის გადმოცემა არ იქნება დაკავშირებული არავითარ დამატებით ხარჯებთან.

მოგმართავთ დახმარებისათვის და ვიტოვებთ იმედს, რომ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნა არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

**ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო ცენტრის თანამშრომელთა და პაციენტთა სახელით, ხელს აწერს 290 კაცი**

**ოთარ ლუდუშაური,**
**ცენტრის დირექტორი, აკადემიკოსი.**

# პატივცემულო მკითხველო!

წინამდებარე კითხვარი მიზნად ისახავს საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების, ეკონომიკური პერსპექტივების და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ საზოგადოებრივი აზრის შესწავლას.

გთხოვთ, კითხვარის შევსებისას გაითვალისწინოთ შემდეგი მითითებანი? 1-ელ, მე-5 და მე-7 კითხვებზე პასუხის გაცემისას მოცემული ვარიანტებიდან შეარჩიეთ ერთი, რომელსაც თქვენ ეთანხმებით და შესაბამისი პასუხის ნომერი შემოხაზეთ. მე-6 კითხვაზე პასუხების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

დანარჩენ კითხვებზე პასუხის გაცემისას, გთხოვთ, განსაზღვროთ თქვენი დამოკიდებულება ჩამოთვლილი ორგანიზაციებისა და პირების მიმართ და თითოეულ მათგანს მიუწეროთ რიგითი ნომერი შეხაზის გრაფაში. ამრიგად, ნომერი 1 მიენიჭება იმ ორგანიზაციას თუ პირს, რომელსაც თქვენ ყველაზე მეტ უპირატესობას ანიჭებთ, ნომერი 2 თქვენთვის შედარებით ნაკლები უპირატესობის მქონეს და ა. შ. ყურადღება! შეიძლება აღმოჩნდეს, რომ თქვენ თანაბრად აფასებთ რამდენიმე ორგანიზაციას ან პირს, ამ შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ მიუწეროთ მათ ერთი და იგივე რიგითი ნომერი.

**1. როგორია თქვენი დამოკიდებულება საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრივი სტატუსის მიმართ?**

1. 1. ვემხრობი სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას;
1. 2. ვემხრობი დამოუკიდებლობას კონფედერაციის ფარგლებში;
1. 3. ვემხრობი დამოუკიდებლობას ფედერაციის ფარგლებში;
1. 4. მიჭირს პასუხის გაცემა.

**2. გთხოვთ, ქვემოთ ჩამოთვლილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დაჯგუფებებს მიუწეროთ რიგითი ნომერი იმ უპირატესობის მიხედვით, რომელსაც თქვენ მათ ანიჭებთ (სია შეგიძლიათ გაზარდოთ.).**

2. 1. დემოკრატიული პარტია —————— (. . .)
2. 2. დემოკრატიული არჩევნები საქართველოში (დასი) —————— (. . .)
2. 3. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია —————— (. . .)
2. 4. წმ. ილია მართლის საზოგადოება —————— (. . .)
2. 5. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება —————— (. . .)
2. 6. კომუნისტური პარტია —————— (. . .)
2. 7. ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია —————— (. . .)
2. 8. მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია (. . .)
2. 9. მწვანეთა პარტია —————— (. . .)
2. 10. პროგრესულ-დემოკრატიული პარტია —————— (. . .)
2. 11. რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია —————— (. . .)
2. 12. რუსთაველის საზოგადოება —————— (. . .)
2. 13. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია —————— (. . .)
2. 14. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია —————— (. . .)
2. 15. საქართველოს ჰელსინკის კავშირი —————— (. . .)
2. 16. სახალხო ფრონტი —————— (. . .)
2. 17. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი —————— (. . .)
2.18. —————— (. . .)

**3. გთხოვთ, ქვემოთ ჩამოთვლილ არაპოლიტიკურ საზოგადოებრივ ფორმირებებსა და ახალგაზრდულ დაჯგუფებებს მიუწეროთ რიგითი ნომერი იმ უპირატესობის მიხედვით, რომელსაც თქვენ მათ ანიჭებთ (სია შეგიძლიათ გაზარდოთ).**

3. 1. ასოციაცია „აღორძინება“ —————— (. . .)
3. 2. ასოციაცია „კათარზისი“ —————— (. . .)
3. 3. ასოციაცია „მეგზური“ —————— (. . .)
3. 4. ახალგაზრდა ქრისტიან-დემოკრატიული ასოციაცია —————— (. . .)
3. 5. ახალგაზრდული ფონდი „მამული“ —————— (. . .)
3. 6. დემოგრაფიული ფონდი —————— (. . .)
3. 7. ინვალიდთა ასოციაცია „ღვთის შვილები“ (. . .)
3. 8. მერაბ კოსტავას სახელობის საადგილმამულო ფონდი —————— (. . .)
3. 9. ჰარმონიული განვითარების საზოგადოება (. . .)
3. 10. —————— (. . .)

**4. გთხოვთ, ქვემოთ ჩამოთვლილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებს, მიუწეროთ რიგითი ნომერი იმ უპირატესობის მიხედვით, რომელსაც თქვენ მათ ანიჭებთ (სია შეგიძლიათ გაზარდოთ).**

4. 1. აკაკი ბაქრაძე —————— (. . .)
4. 2. ზვიად გამსახურდია —————— (. . .)
4. 3. გივი გუმბარიძე —————— (. . .)
4. 4. ირაკლი კაკაბაძე —————— (. . .)
4. 5. ნოდარ ნათაძე —————— (. . .)
4. 6. მიხეილ ნანეიშვილი —————— (. . .)
4. 7. ზურაბ ჟვანია —————— (. . .)
4. 8. ირაკლი შენგელაია —————— (. . .)
4. 9. ირაკლი წერეთელი —————— (. . .)
4. 10. გიორგი ჭანტურია —————— (. . .)
4. 11. —————— (. . .)

**5. აპირებთ მრავალპარტიულ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას?**

5. 1. ვაპირებ მონაწილეობა მივიღო მხოლოდ უზენაესი საბჭოს არჩევნებში;
5. 2. ვაპირებ მონაწილეობა მივიღო მხოლოდ ეროვნული კონგრესის არჩევნებში;
5. 3. ვაპირებ მონაწილეობა მივიღო როგორც ეროვნული კონგრესის, ასევე უზენაესი საბჭოს არჩევნებში;
5. 4. არჩევნებში მონაწილეობის მიღებას არ ვაპირებ;
5. 5. აქტიურ ბოიკოტს ვუცხადებ უზენაესი საბჭოს არჩევნებს;
5. 6. აქტიურ ბოიკოტს ვუცხადებ ეროვნული კონგრესის არჩევნებს;
5. 7. მიჭირს პასუხის გაცემა.

**6. გთხოვთ, მიუთითოთ საქართველოში საკუთრების როგორი ფორმების არსებობა მიგაჩნიათ საჭიროდ? (პასუხების რაოდენობა შეზღუდული არ არის).**

6. 1. სახელმწიფო საკუთრება;
6. 2. კერძო საკუთრება;
6. 3. კოოპერატიული საკუთრება;
6. 4. საკუთრების შერეული სახე;
6. 5. კოლექტიური საკუთრება;
6. 6. მიჭირს პასუხის გაცემა.

**7. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის როგორ ფორმას უჭერთ მხარს?**

7. 1. გეგმიური ეკონომიკა;
7. 2. რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა;
7. 3. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა;
7. 4. მიჭირს პასუხის გაცემა.

**8. რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ საქართველოში უცხოურ ფირმებთან ერთობლივი საწარმოების შექმნა?**

8. 1. ეს ხელს შეუწყობს საქართველოს დამოუკიდებელი ეკონომიკის განვითარებას;
8. 2. ეს გამოიწვევს საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის დაკარგვას;
8. 3. მიჭირს პასუხის გაცემა.

**9. გთხოვთ, ქვემოთ ჩამოთვლილ გაზეთებს მიუწეროთ რიგითი ნომერი თქვენს მიერ მათთვის მინიჭებული უპირატესობის მიხედვით. (სიას შეგიძლიათ დაუმატოთ საქართველოში გამოცემული სხვა გაზეთებიც).**

9. 1. „ახალგაზრდა ივერიელი“ —————— (. . .)
9. 2. „დვრიტა“ —————— (. . .)
9. 3. „დროება“ —————— (. . .)
9. 4. „თავისუფლება“ —————— (. . .)
9. 5. „თბილისი“ —————— (. . .)
9. 6. „ივერია“ —————— (. . .)
9. 7. „კომუნისტი“ —————— (. . .)
9. 8. „ლიტერატურული საქართველო“ —————— (. . .)
9. 9. „მამული“ —————— (. . .)
9. 10. „მოლოდიოჟ გრუზიი“ —————— (. . .)
9. 11. „ნატვრისთვალი“ —————— (. . .)
9. 12. „რესპუბლიკა“ —————— (. . .)
9. 13. „სამშობლო“ —————— (. . .)
9. 14. „საქართველო“ —————— (. . .)
9. 15. „საქართველოს ქრონიკა“ —————— (. . .)
9. 16. „სახალხო განათლება“ —————— (. . .)
9. 17. „სოფლის ცხოვრება“ —————— (. . .)
9. 18. „ქართული ფილმი“ —————— (. . .)
9. 19. „ქართლის დედა“ —————— (. . .)
9. 20. „მანსი“ —————— (. . .)
9. 21. „ძლევაი“ —————— (. . .)
9. 22. —————— (. . .)

**10. გთხოვთ, ქვემოთ ჩამოთვლილ ჟურნალებს მიუწეროთ რიგითი ნომერი თქვენს მიერ მათთვის მინიჭებული უპირატესობის მიხედვით.**
**(სიას შეგიძლიათ დაუმატოთ საქართველოში გამოცემული სხვა ჟურნალებიც).**

10. 1. „განთიადი“ —————— (. . .)
10. 2. „დროშა“ —————— (. . .)
10. 3. „კინო“ —————— (. . .)
10. 4. „მნათობი“ —————— (. . .)
10. 5. „პირიმზე“ —————— (. . .)
10. 6. „საქართველოს ქალი“ —————— (. . .)
10. 7. „ცისკარი“ —————— (. . .)
10. 8. „ხელოვნება“ —————— (. . .)
10. 9. —————— (. . .)

**11. გთხოვთ, საქართველოს ტელევიზიის ქვემოთ ჩამოთვლილ პროგრამებს მიუწეროთ რიგითი ნომერი თქვენს მიერ მათთვის მინიჭებული უპირატესობის მიხედვით. (სიას შეგიძლიათ დაუმატოთ საქართველოს ტელევიზიის სხვა პროგრამებიც).**

11. 1. „აუქციონი“ —————— (. . .)
11. 2. „ვესტნიკი“ —————— (. . .)
11. 3. „ვიდეო-ვიდეო“ —————— (. . .)
11. 4. „ილუზიონი“ —————— (. . .)
11. 5. „კვირიაკე“ —————— (. . .)
11. 6. „მოამბე“ —————— (. . .)
11. 7. „ნაშუადღევს“ —————— (. . .)
11. 8. „პუნქტუმ-კონტრა-პუნქტუმ“ —————— (. . .)
11. 9. „საღამო მშვიდობისა“ —————— (. . .)
11. 10. „თბილისი და თბილისელები“ —————— (. . .)
11. 11. —————— (. . .)

**გთხოვთ, მოგვაწოდოთ რამდენიმე ინფორმაცია თქვენს შესახებ:**

12. ასაკი ——————
(ჩაწერეთ)
13. სქესი
13. 1. მამრობითი; 13. 2. მდედრობითი;
14. ეროვნება; ——————
ჩაწერეთ
15. განათლება
15. 1. უმაღლესი; 15. 2. საშუალო;
16. პარტიულობა
16. 1. ვარ —————— პარტიის წევრი
(ჩაწერეთ)
12. 2. უპარტიო
17. საცხოვრებელი ადგილი
17. 1. ქალაქი ——————
(ჩაწერეთ)
17. 2. რაიონი ——————
(ჩაწერეთ)
18. სოციალური მდგომარეობა (სტუდენტი, მოსწავლე, მოსამსახურე, მუშა, კოლმეურნე).

გთხოვთ, შევსებული კითხვარი გამოგზავნოთ შემდეგ მისამართზე.
თბილისი-96, კოსტავას 14, გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქციას. კონვერტზე გააკეთეთ წარწერა „ორგანიზაცია „ს-ს-ს“.
გთხოვთ, ამონაჭერი გამოგზავნოთ 20 აგვისტომდე.
მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის.

**ორგანიზაცია „ს. ს. ს.“**

**ამ გვერდზე გამოქვეყნებული მასალების ჰონორარი გადაირიცხება ხოჯალის მშენებლობის ფონდში, ასოციაცია „აღორძინების“ ანგარიშზე 100700008 მთაწმინდის რაიონის მანსოცბანკში.**


ახალგაზრდა ივერიელი
Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორის მოადგილე
გიგლა გოგებია

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, სოშარაულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 68400

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.